პარასკევი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 27 № 250

წელიწადი მეორე

პარასკევი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 27 №250

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფ. დავიტ-ხანი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ასპარეზზე სიწყნარეა.

ხაშურში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისთვის მილიციამ შეიპყრო საქ. პარლამენტის წევრი ხოშტარია.

ჩვენი რადიოს მიერ დაჭერილ დეპეშის გადმოცემით მოსკოვში ხმა გავრცელებულა, ვითომც საქართველოში საბჭოთა მთავრობა დაარსებულიყოს.

ნაპოლ საბჭოების მიხედვით ომის დაწყებაში და მის წარმოებაში ბრალი ედებათ: კაიზერს, კრონპრინცს, ლიუდენდორფს, ტირპიცს, მრეწველებს და პანგერმანელებს.

გერმანიის დამფუძნებელ კრების არჩევნების სიაში არიან: ებერტი, გუგომ რობერტი შმიდტი, პაიერი, პაულე ჰირში, ჰელმანი და რუდოლფ კრეგენი.

გერმანიის მრავალ ნაწილში ორივე მიმართ. სოც.-დემოკრატები შეთანხმდნენ.

მაკენზენის ლაშქრის იარაღის აყრას კაროლის აბრალებენ.

შვეიცარიის სოც.-დემ. პარტიამ ბერნში პარტიის თავჯდ. ჰუსტავ მიულლერი აირჩია.

მასარიკის პრაგაში ჩავიდა. ის ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

---

ღრმად დამწუხრებულნი დიმიტრი და ქეთევან მეუღლე მარიამ (ვარა) პატარა ობლებით, ძმები: სვიმონ და ილია, რძლები: თამარა და მარიამ თაქთაქიშვილები და დაი მარიამ გვერწითლისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 25 ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა

**ალექსანდრე (საშა) თაქთაქიშვილი.**

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 ს., დაკრძალვა შაბათს, 29 ქრისტეშობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გამოსვენება დილის 10 საათზე (ვარდის უბნის ქუჩა № 5). (1—1976—1)

---

ილია პეტრეს ძე გურგენიძე და შვილები ელენე, ლუბა, კონსტანტინე, ეკატერინე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროვოდ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, მეორეთა დედა

**ეკატერინე დიმიტრის ასული**

**გურგენიძე (ციციშვილისა)**

პანაშვიდი საღ. 6 საათზე ყოველ დღე რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიაში. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას, დილის 11 საათზე. 1—1980—1

---

ანნა ილიას ასული პლეხანოვისა, ვალენტინა ილიას ასული რიტჩენკოვისა ქმრებით და შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პირველთ დედა, მეორეთ სიდედრი და დიდედა გარდაიცვალა

**ნეკტარინე (ეკატერინე) დიმიტრის ასული**

**გურგენიძე (ცქვიტიშვილისა)**

პანაშვიდი საღ. 6 საათზე რკინის გზის საავადმყო ეკლესიაში მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას დილის 11 საათზე. (1—1980—1)

---

## სახელმწიფო თეატრი

**წარმოდგენა № 7.**

27 ქრისტეშობისთვეს

„კავშირის“ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა ა. ცაგარლისა

## ქართველი დედა

**წმინდა შემოსავალი გადაიდება ომის საჭიროებისათვის**

რეჟისორი შალვა დადიანი. ✦✦✦ თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ✦✦ მორიგი წარმომ. ალ. გაჩეჩილაძე.

მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: „ტარიელ გოლუა“ და „ანტიგონე“. 2—2

---

## განცხადება

**თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა**

## დგება მოხალისეთა რაზმები

**სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლიან ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.**

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან **1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897** და **1898,** წლებში დაბადებული ახალგაზდები.

1. ყველა მოხალისეთ, რომლებიც მსახურებენ სხვა და სხვა დაწესებულებაში—ადგილები შეენახებათ. 2. სამხედრო მოქმედების გათავების შემდეგ თავისუფალნი იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს, გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

**ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან—14 საათამდე და 16 საათ.—18 საათამდე.**

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი გენ.-მაიორი მაღალაშვილი.

19 ქრისტეშობისთვე, ქ. თბილისი. 5—5

---

**29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)**

ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

**უკვალოდ დაიკარგა**

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი **დავით არონის ძე ელიგულაშვილი.**

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

**ჯილდოს მიღებით**

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს. (12—1956—10)

---

## საქართველოს მეომართა დღე

**თბილისის მოქალაქენო!** დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი სისხლით უზრუნველ ჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას! დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს ულრმესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბანში შეაგროვებენ ავტომობილებით შემოწირულებას.

**საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.**

თავმჯდომარე **ნ. გაბაშვილისა.** გოლოვინის პრ. № 24. (3—2)

---

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ევლახოვისა**

შაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს, **დირიჟორ სამოსუდის ბენეფისი**

## ჰოფმანის ზღაპრები

მონაწილეობენ: საბანეევა, შულგინა, შვამბერგი, მაროზოვა, ზალიპსკი და ნიკოლსკი. დასაწყისი საღ. 7 საათ.

კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს, დილით **„ევგენი ონეგინი“,** საღამოთი ალეშკოს, კონშინის, პოლიაევს, მონაწილეობით **„ტოსკა“** და ბალეტი (ჯიოკონდას ოპერიდან საათების ცეკვა).

31 ქრისტეშობისთვეს საბანეევას, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით **„ტრავიატა“.**

---

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**

## საქართველო

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის**

ხელის მოწერის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . . . . . . . | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . . . . . . | 75 „ |
| სამი თვით . . . . . . . . . . | 40 „ |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . | 15 „ |

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

**ფოსტის ადრესი:** თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

**ტელეგრაფის ადრესი:** თბილისი „საქართველო“.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

**გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია**

(კრებული წერილებისა)

---

## ბორჩალო და ჯავახეთი

როგორც სამხრეთის ხალხს სჩვევია, ჩვენ აღფრთოვანებიდან ადვილად გადავდივართ უიმედობაში. ყველაზე დიდი საფრთხე დღეს ქედიდან მოგველის, თუ ქედი მოდუნდა და მოიშალა, ვერას გვიშველის ფრონტის სიძლიერე და ჯარის სიმამაცე. ამ საფრთხემ თავი იჩინა კიდეც. ჯერ ორი კვირაც არ გასულა, რაც ომი დავიწყეთ. ჯერ საქართველო ხეირიანად არც შენძრეულა: შორეული პროვინციებიდან მხოლოდ ყრუ გამოძახილი მოისმის. ჩვენი ჯარი და გვარდია ვაჟკაცურად უმკლავდება მრავალრიცხოვან და მომზადებულ მტერს და დამხმარე რაზმებს ელის, რათა მოხერხებულ დროს თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდეს. მაგრამ ამავე დროს ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ წრეებში კიდეც გაისმის ლაპარაკი დროებითი შერიგების შესახებ.

თუ ახლა ზავი ჩამოვაგდეთ, ეს იქნება არა ფრონტის, არამედ ქედის დამარცხება. ის მილიტარული ენერგია, რომელიც ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ გამოაშკარავა, რათა კადნიერი მტრისთვის დაეპირდაპირებინა, დაგუბდება და უკუღმართ მიმართულებას მიიღებს. რევანშის გრძნობა მოიცავს ჩვენს ქვეყანას და დიდი ხნით მოუსპობს ... მეზობლებთან ... წყობილების დამყარება არარატის რესპუბლიკასთან.

მართალაც ჩვენს ახალგაზრდა და ჯანსაღ დემოკრატიას არ შეუძლია იოლად დასთმოს ის პროვინციები, რომელიც მთრთოლვარე ხელებით ბოლომდე შეინარჩუნეს თვით სუსტმა მეფეებმა. ბორჩალო, ლორი, ბამბაკი საქართველოს ეკუთვნოდა გიორგი მეცამეტის დროსაც, როცა საქართველო იმდენად დასუსტებული იყო, რომ აღარ შეეძლო დამოუკიდებლად არსებობა.

დღეს სომხები მთელს ბორჩალოს გვედავებიან მდინარე ხრამამდე. თუ ლორის საკითხში მათ კიდევ შეუძლიათ ეთნოგრაფიულ საბუთებს დაეყრდნონ, დანარჩენ რაიონებში ეს საბუთები არ გამოადგებათ, რადგან მოსახლეობის დიდს უმრავლესობას თათრები, ქართველები და სხვა პატარა ერები შეადგენენ. შემთხვევითი მოვლენა არ იყო, რომ მეფე ერეკლემ ალავერდში ბერძნები დაასახლა. ეს ბერძენი კოლონისტები დღეს რესპუბლიკის ერთგული მოქალაქენი არიან, როგორც წინათ მეფის ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ. იგივე ითქმის ბორჩალელ თათრებსა, გერმანელ კოლონისტებსა და სხვებზე.

ჩვენ არ გვეშინია პლებისციტის შედეგისა, მაგრამ პლებისციტი სრულიად ზედმეტია ბორჩალოში. ჯავახეთშიც პლებისციტის მოხდენა საშინელი უკუღმართობა იქნებოდა. ეს გამოიწვევდა ზედმეტ გაუგებრობას, ზედმეტს კონფლიქტებს და საბოლოოდ არევ-დარევდა საზღვრების გამორკვევის საქმეს. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, ჯავახეთში სომხობის მოსახლეობა დღეს ერთს მესამედსაც აღარ წარმოადგენს. დაშნაკცუტუნის უაზრო პოლიტიკამ გაანახევრა ჯავახეთის სომხობა. მაგრამ ესეც არ იყოს, განა რეფერენდუმით შეიძლება ჯავახეთის საკითხის გადაწყვეტა? განა მოკავშირეებმა, რომელიც დღეს ასეთ ზომას გვთავაზობენ, თვით რეფერენდუმი მოახდინეს ელზას-ლორენში? ჩვენთვის ჯავახეთი და ბორჩალო კიდევ უფრო ძვირფასია ვიდრე ფრანგებისთვის ელზას-ლორენია, მიტომ რომ ამ პროვინციებს ვფლობდით არა ორიოდე საუკუნის განმავლობაში, არამედ ქართლის ცხოვრების დასაწყისიდან და რამდენიმე ათასი ლტოლვილის დასახლება საკმაო საბუთად არ მიგვაჩნია, რომ ძირეულ ქართულ პროვინციებზე ხელი ავიღოთ.

## კავკასიის თავისუფლებისთვის

კავკასიის ახლად დაარსებულსა, ჯერ კიდევ სავსებით განუმტკიცებელ რესპუბლიკებს შორის პირველათ დაირღვა მშვიდობიანობა. მშვიდობიანობის დამრღვევი მოსისხლე მტერია არა მარტო საქართველოსი არამედ მთელი ამიერ-კავკასიისა. განა საქართველო არ იყო ერთა დამოუკიდებლობის იდეიის მესვეური ამიერ-კავკასიაში? საქართველო არ იყო, რომ იბრძოდა ევროპაში ახლათ დაარსებულ მეზობელ რესპუბლიკის სრულ უფლებიანობისთვის? საქართველო არ იყო, რომ პირველად აღიმაღლა ხმა, მოითხოვა და მოამზადა კავკასიის რესპუბლიკების სადავო საკითხებისთვის საერთაშორისო კონფერენცია? განა ამით საქართველომ კავკასიის დამოუკიდელ, თავისუფალ ერთა სინიდისი და მართლმსაჯულება უზენაეს ტრიბუნალათ არ იცნო? მაგრამ ვინ გაექცა კავკასიის ერთა სოლიდარობის პრინციპს: ვინ უღალატა ამიერ-კავკასიის თავისუფალ, დამოუკიდებლობის ... ცდილობს შემოიტანოს პირველათ კავკასიის რესპუბლიკებთა შორის ომიანობისა, მტრობისა, და მოღალატეობის ლვარძლი? არარატის რესპუბლიკის მთავრობაა მიზეზი იმ დიდი დაშაულისა.

განა საქართველოსადმი მიმართული, მტრობა სომხეთის მთავრობისა როდისმე ან როდისმე დაზოგავს კავკისიის სხვა ერებსა და სახელმწიფოებს? თუ დახმარების მიმზღვევს, საქართველოს სომხობა ომით გაუმასპინძლდა, განა კიდევ უარესს არ უნდა ელოდეს ადერბეიჯანის ერი ან მთიელნი?

ყველა ერების ღირსეული წარმომადგენელნი თბილისს უნდა გამოეშურნენ. ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი უნდა შემოკრბენ თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველ ხალხთან და საქართველოს მთავრობასთან. ამ წარმომადგენლების თათბირმა, რომელთაც სურთ კავკასიის ერთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მსჯავრი უნდა დასდონ ბოროტების ჩამდენს, ომიანობისა და მტრობის გამომწვევ მთავრობას.

ერევნის მთავრობამ და დაშნაკურმა სომხობამ კავკასიის ერებს საშინელი განსაცდელი განუმზადა. კავკასიის ერმა ამას ღირსეული პასუხი უნდა გასცენ.

ტ. მ.

## პ რ ე ს ა

**მოღალატე სომხები**

„ერთობა“ მოღალატე სომხების შესახებ შემდეგსა სწერს:

„ორი კვირის გამოცდილებამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ სომხის სოფლები სანდო არ არის იქ, სადაც ომის ასპარეზია და ჩვენმა ჯარმა არ უნდა უცადოს, სანამ ეს სოფლები არ აჯანყდებიან და საქმით არ დაამტკიცებენ მოღალატეობას: დღესვე ყველა სოფელში უნდა ჩააყენოს მთავრობამ საგანგებო რაზმები და ყოველგვარი ზომები მიიღოს ღალატის თავიდან ასაცილებლად. ხოლო იმ სოფლებში, რომელნიც უკვე აჯანყდენ, უნდა გატარდეს დაუყოვნებლივ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც მოითხოვს მოღალატეთათვის მთელი ქონების კონფისკაციას. ყოველი

## ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.

## დაეხმარეთ ფ ო ნ დ ი ს გაძლიერებას!

ბოროტება დროზე უნდა იქნას დათრგუნული, მოღალატეობის თვით შესაძლებლობაც კი სათავეშივე აღმოფხვრილი.

საგანგებო გარემოება საგანგებო ზომების მიღებას ითხოვს და ეს ახლავე უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენს მტრებს.

მაგრამ არ კმარა მარტო ბორჩალოს ალაგმვა. ჩვენ ვიცით, რომ ბორჩალოს თბილისიდან უმაგრებენ ზურგს: აქ აგროვებენ მოხალისეებს და იარაღს, აქედან ეხმარებიან ფულით. სომხის ბურჟუაზია მუყაითად მუშაობს. თუ გაიმარჯვებს სომხეთი, სომხის ბურჟუაზია დიდს მოსაგებს ნახავს, მაგრამ ის ბევრს არაფერს დაჰკარგავს არც იმ შემთხვევაში, უკეთუ გამარჯვება საქართველოს ერგება.

ჩვენი ვალია ადგილობრივი სომხის ბურჟუაზია დავსძრათ ამ თბილ ადგილიდან და მასაც ვაგრძნობინოთ, თუ რისი ღირსია ის ორჭოფ და მოღალატურ მოქმედებისს.

ნურვინ იფიქრებს, ვითომ სომხეთი მხოლოდ ბორჩალოს მაზრის ნაწილს და ჯავახეთს გვედავებოდეს: ომი სომხეთის მხრივ ეს არის საღვთო ომი სომხის პლუტოკრატიის და კლერიკალიზმის საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული.

ამიტომ არავითარ სისასტიკეს არ უნდა მოვერიდოთ, რომ შემოსეულ რეაქციონერებს ღირსეული პასუხი გავსცეთ.

ციხე შიგნიდან ტყდება. უნდა გავმართოთ ეს ციხე და ავლაგმოთ ის, ვინც ჩვენთან არ არის".

* * *

**„სახალხო საქმე" ზავის პირობებზე.**

„სახალხო საქმე" ეხება ზავის პირობებს და შემდეგს სწერს:

აშკარაა ყველასათვის: ქართველი ხალხი ბრძოლას მოითხოვს სამართლიან უფლებების და სამშობლოს დასაცავად, ხალხი დარწმუნებულია, რომ ის ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს, ვინაიდან ის სიმართლეს იცავს და იცავს თავის სამშობლოს, თავის ისტორიულ ტერიტორიებს.

კიდევ ვიმეორებთ ხაზ გასმით, ამ სახალხო გზის და მიმართულების უარყოფა გამოიწვევს საშინელ ანარქიას, სოციალ არევ-დარევას და ამ არევ-დარევით ყველა ის ორგანიზაცია და ძალა იზარალებს, ვისაც კი საზოგადოდ დააზარალებს წესიერი სახელმწიფოებრივი წყობილება.

მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ზავი შეუძლებელია ყოველ პირობებში. რაკი სომხები გაექცნენ მთავრობის მ[illegible]ობიან მიზნებს, მათ მოისურვ[illegible]ალით, საქართველოს დანგრ[illegible]თ მოეგოთ საკითხები, ამ მიზნით მუხანათური თავდასხმა მოაწყვეს, დახოცეს ჩვენი დარაჯები, გააფუჭეს რკინის გზა, დაანგრიეს სოფლები, გვაიძულეს მობილიზაცია გამოგვეცხადებინა, დაგვახარჯვინეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი, რომლის პასუხისმგებლობა უეჭველად უნდა იკისროს არა მარტო მორალური და პოლიტიკური, არამედ პასუხისმგებლობა ქონებრივი სომხის ერმა, სომხის მთავრობამ.

ფაქტია შემდეგი: დროებითი ზავიც შეუძლებელია, თუ პირველ ყოვლისა „სადავო" საკითხები ამიერიდან უდავოდ არ იქნება გამოცხადებული. ამიერიდან ყველამ, მთავრობამ შინ, ხოლო სხვა სახელმწიფოებმა უცხოეთში და საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში, უნდა გადაჭრით ჩათვალონ სომხებთან საქმე და ბორჩალოს მაზრაზე, აგრეთვე ახალქალაქის მაზრაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. თუ ეხლა ზავი იქნება, ეს ზავი არც ჩვენ გვინდა, არც მთავრობას, არც ხალხს, ეს ზავი თუ საჭიროა სომხებისთვის ჩვენ ეს შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ შემდეგის პირობით: ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრაზე სომხებმა საბოლოოდ უნდა შესწყვიტონ ლაპარაკიც კი, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს აუნაზღაუროს სომხეთმა ყველა ის ხარჯი და ზარალი, რომელიც სომხეთმა უდანაშაულოდ ქართველ ხალხს მიაყენეს. ამის განხორციელება ნიშნავს განალდებას იმ განზრახვის, რომელსაც დიპლომატები უწოდებენ: ამა თუ იმ მხარეს პასუხისმგებლობას.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ გაზეთი არ შესცვლის პოზიციას იმიტომ, რომ დაიცვას თავის ორი მინისტრი. მთავრობაში არავითარ პირობებს არ შეუძლია ქართველი ხალხი წინააღმდეგში დაარწმუნოს; ამ ომში ხელშეხებულია ჩვენი ეროვნული ღირსება, ვინც საქართველოს დაამცირებს სამარცხვინო ზავით მას დაღუპვა არ ასცდება. ხალხი მხოლოდ უნდა გამოერკვეს პირველ თავდასხმას მოღალატეებისგან და გამარჯვება არ ასცდება.

## მოკავშირენი და სომეხთ საქართველოს ომი *)

ყოველ მოვლენას უარყოფითი მხარეებთან ერთად ბევრი დადებითი მხარეებიც თანსდევს. ვინ იტყვის, რომ ომი უაღრესად გამანადგურებელი მოვლენა არ იყოს. ვინ იტყვის, რომ სომხეთ-საქართველოს შორის ამტყდარი ომი დიდათ არ დააზიანებს საქართველოს და უფრო მეტად-კი თვით ამ ომის გამომწვევ სომხეთს?

ისტორიამ იცის იმის მაგიერი, რომ თუ ბევრნი ომში გასრესილან და აღგვილან დედა-მიწის პირიდან, ბევრს სამაგიეროდ იმდენი მოუგიათ რამდენსაც საუკუნოების შრომით ვერ ეღირსებოდნენ. ჩვენს მთავრობას არ უნდოდა ეს ომი, მაგრამ ვერ დავფარავთ იმასაც, რომ შესაძლებელია ამ ომმა აღადგინოს და გამოასწოროს ბევრი ჩვენი წარსული შეცდომები.

ევროპა საქართველოს არ იცნობდა დღესაც სრულიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მასზე. ევროპის კარკედელი ატირებული იყო სომხის ერის ბელადებისაგან: არიქა გვსპობენ, ყველა ჩვენ გვჩაგრავს, ჩვენ გვებრძვის, ჩვენ გვსრესო. გერმანეთი ამ რწმენით შემოვიდა კავკასიაში, მაგრამ სხვა რწმენით გაბრუნდა უკან. ინგლისი და მისი მოკავშირენიც ასეთივე ღრმა რწმენით გვეწვიენ კავკასიაში და ჩვენ გვგონია, რომ ისინიც იძულებულნი იქნებიან ანგარიში გაუწიონ ფაქტებს.

ნურავის დაავიწყდება, რომ მოკავშირეთა პოლიტიკა საერთოდ და კერძოდ ამიერ-კავკასიაში არ არის აშ[illegible]ზე. მათ აქვთ მკაფიოდ გამოსახული მიზანი და როგორც რეალური პოლიტიკოსები, ანგარიშს ფაქტებს გაუწევენ: ამ ფაქტების მიხედვით გაავლებენ თვის პოლიტიკურ ხაზს როგორც საქართველოს, ისე სომხეთის მიმართ. ევროპა ყველგან და ყოველთვის ნემსიდან მახათს გამოელის. ესევე ითქმის მოკავშირეებზედაც. მათ აქვთ პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ამიერ-კავკასიაში და შეეცდებიან აქ ისეთ ბაზას დაეყრდნონ, რომელიც მეტს კულტუროსნობას, მეტს ნიჭს,—მეტს სახელმწიფოებრივ უნარსა და სახსრების სიძლიერეს გამოიჩენს. ესეთ ბაზას ისინი მხოლოდ საქართველოში, როგორც ჯანსაღ სახელმწიფო ორგაში ჰპოვებენ. აქამდე სრულიად უკუღმართ წარმოდგენისა იყვნენ საქართველოსა და ქართველ ერზე. ჩვენ კარგად ვიცით ვინ ჩასწვეთა ეს შხამ-ნარევი აზრი ევროპის ტვინში, მაგრამ ჩვენ იმასაც მალე გავიგებთ, რომ ევროპა დაინახავს შავსა და თეთრს ამიერ-კავკასიის ვითარებაში.

თუ ზნეობრივი მაშტაბით გავზომეთ მოკავშირეთა დამოკიდებულება სომხებთან ან ქართველებთან, მაშინ ვგონებ, რომ მათ დიდი ანგარიში უნდა გაუწიონ ბაქოს ადერბეიჯანელთა მიერ აღების ეპოპეიას, როდესაც ქართველებმა სომხების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად აწიოკების საფრთხის წინაშე დააყენეს თავისი ოჯახები და როდესაც სომხის ჯარისკაცების უმეტესი ნაწილი ზურგს ამოიჩენდა დაბრილი.

ეს იყო პირველი მაგალითი სომხეთა მხედრობის გამოცდისა მოკავშირეთა თვალში. ხოლო რაც შეეხება ოსმალეთა წინაშე ბრძოლას, მაშინაც ბევრი ეროვნული დეფექტი აღმოჩნდათ სომხებს. და თუ ეს დეფექტები დაფარული იყო, უმადლოდენ რუსის მუჟიკისა და მხედრობის წინმსვლელობას.

ეხლა სომხებმა უკანასკნელ და საბედისწერო წინაშე დაიყენეს თავი. გვგონია, რომ მათ ეს კარგად იციან და ამიტომ ალბად უკიდურესობამდე დასჭიმავენ თვის ძარღვებს და რაც ძალა მოეპოვებათ საქართველოს დაუპირდაპირებენ.

ჩვენის აზრით ეხლა დაუდგათ მოკავშირეებს ისეთი დრო; როდესაც მათ უნდა გაიგონ ვინ არის ღირსი სიცოცხლისა, დამოუკიდებლობისა და ევროპიულ კულტურის ზიარებისა და ვის გასტეხია ხერხემალი და ვის დასცემია დამბლა. მათთვის ამის ცოდნა დიდათ საჭიროა. მათი პოლიტიკისათვის აღმოსავლეთში საჭიროა საიმედო ძალა და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სომხებში ვერ ჰპოვებენ ასეთ ძალას, ხოლო რუსეთის გაერთიანების უაზრობასაც იხილავდნენ კიდეც მას შემდეგ, რაც ყოფილ რუსეთის ნაწილებმა მტკიცე პოლიტიკითა და საქმით ჩასჭიდეს ხელი ეროვნულ სახელმწიფოს აშენებას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ რაც მეტს სიმტკიცეს შეუდრეკელ ნებისყოფას გამოვიჩენთ ამ ომში, მით უფრო ბევრს მოვიგებთ ევროპისა და მოკავშირეთა თვალში. კულტუროსანი კაცობრიობა, უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველოს მთავრობის უმაგალითო და შეურყეველი მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ არ იყო სისუსტის მაჩვენებელი არამედ, მხოლოდ მოუცლელობა ომისათვის. ქართველი ერი, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, დღეს ენტუზიაზმით არის გამსჭვალული. ბათუმის მარცხი თუ იმიტომ მოგვივიდა, რომ საქართველო არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, სომხეთის ფრონტზე გამარჯვება ნაყოფი იქნება ჩვენი დამოუკიდებელ არსებობისკენ მისწრაფებისა.

ამიტომ, თუ გვინდა სიცოცხლე, კულტურა და ცნობა ჩვენი არსებობისა ევროპის მიერ, ეს ძალათ თავზე მოხვეული ომი უნდა მოვიგოთ და ჩავსვათ სომხის მთავრობა და ერი იმავე ფარგლებში, რომელიც მისთვის ისტორიას და ბუნებას მიუჩენია. და თუ ამ ფარგლებში ვერ ჩაეტევა სომხის ერი, სარჩევი მათ აღარა აქვთ რა. მაშინ უნდა შეურიგდენ თავის ექსტერიტორიულობას.

**იოსებ ხანანაშვილი.**

*) ზოგიერთ დეტალში არ ვეთანხმებით წერილის ავტორს. რედ.

# საქართველო-სომხეთის ომი

## ბრძოლის ველი

### (სამხ. დრო. შტაბის ცნობა)

**26 ქრისტეშობისთვე.**

გუშინ ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფელი დაგეტ-ბაიინი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე საწყნარეა.

## ზოჲრიანის დაპატიმრება

ხაშურის მილიციის უფროსმა გორში, სომხებში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისათვის საქართველოს პარლამენტის წევრი ზოორიანი (დაშნაკცაკანი) დააპატიმრა.

## შეწირულება

მეოთხე გიმნაზიის დირექტორმა მ. ყ. ზაალიშვილმა დახოცილ გვარდიელთა ბავშვების აღსაზრდელად ათასი მანეთი ფულად და მისი სახელმძღვანელოს „ანატომია და ფიზიოლოგია ადამიანისა" მთელი შემოსავალი.

## მეომართა დახმარება

მეომართა დამხმარე კომიტეტი აცხადებს რომ პარასკევს 27 ქრისტეშობისთვეს [illegible] სასწავლებლებში ჩამოივლიან სათანადო მანდატებით აღჭურვილნი პირნი, რომლებიც განათლების სამინისტროს განკარგულებით მეომართა სასარგებლოდ შეწირულებას მიიღებენ.

## სახალხო გვარდიის შტაბის მოწოდება.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისა: ბორჩალოს მაზრაში სამხედრო მოქმედების დაწყებისთანავე სახალხო გვარდიის საჭიროებისათვის შემდეგი შეწირულებანი მივიღეთ: ბოდბის-ხევმა—1000 ფქვილი, პარლამენტის წევრ ბუზიაშვილისაგან 5000 ც. პაპიროსი, შტაბი მადლობას უძღვნის შემომწირველთ და რწმენას გამოსთქვამს ყველა საქართველოს მოქალაქე შეძლების და გვარად დაეხმარება იმ გმირებს, რომელნიც მშრომელი ხალხის კეთილდღეობას სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს.

შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი სასახლის შუა შესავალი, შემომწირველნი გაზეთებში გამოცხადდება.

**სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.**

## მოწოდება მეორე მოხალისეთა რაზმისა

მოქალაქენო! შეიგნეთ თქვენი წმინდა მოვალეობა სამშობლოსადმი. მტერი კარზეა, ვისაც გახარებთ სამშობლოს თავისუფლება, ამაყობთ მისი წარსულით და ეტრფით მის მომავალს ჩაეწერეთ მეორე მოხალისეთა რაზმში. ჩვენი დევიზია: „ან სიკვდილი ან გამარჯვება", მისამართი: ქართული კლუბი „ჯარი და ერის რედაქცია". რაზმის ხელმძღვანელი ავქ. აბესაძე.

## ადერბეიჯანი სომხების პარლამენტს

თბილისის რადიო სადგურმა ბაქოდან შემდეგი რადიო მიიღო: ერევანი. სომხეთის პარლამენტის თავჯდომარეს. მაშინ, როცა ყველა ხალხმა დიდი ომის შემდეგ იარაღი დააწყო და საყოველთაო ზავის დამყარებას სცდილობს, მაშინ, როდესაც კავკასიის რესპუბლიკანი, რომელთაც თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მშვიდობიან განწყობილებაში არიან, რითაც ამტკიცებენ, რომ ისინი ღირსი არიან დამოუკიდებელ ცხოვრებისა, ამ დროს ადერბეიჯანის პარლამენტი ღრმა მწუხარებით შეხვდა მეზობლად მცხოვრებ სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა შორის სისხლის ღვრის დაწყების ამბავს. 20 ქრისტეშ. მოხდა პარლამენტის სხდომა, რომელზედაც ერთხმად დაადგინეს ძმური მოწოდებით მიჰმართონ სომხეთის და საქართველოს პარლამენტებს, რათა თავიანთ მთავრობებზე იმოქმედონ და ყოველგვარი ზომები მიიღონ მოსალოდნელ კატასტროფის თავიდან ასაცდენად. სრულიად კავკასიის დემოკრატიის სურვილია, რომ ყველა სადაო საკითხი სწყდებოდეს შეთანხმებით და არბიტრაჟის საშუალებით. ყოველივე გამოსვლა ასეთ წესის წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა იყოს იგი, საპასუხისმგებლოა მსოფლიო დემოკრატიის წინაშე და დამღუპველია სომხეთის და კავკასიის ხალხთა გაერთიანების საქმისთვის. ადერბეიჯანის პარლამენტი მოგმართავთ თქვენ ხალხის ნამდვილო წარმომადგენელნო, ძმურ მოწოდებით შეწყვიტოთ სისხლის ღვრა რათა ამიერ კავკასია კვლავ არ ჩაალრჩოთ სისხლის მორევში, რადგან სისხლი და ცეცხლი დაღუპავს ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ადერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარე **ალაევი.**

## დეპეშები პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარეთ.

**გორიდან.** მოხელეთა კავშირის საზოგადოების კრება აღშფოთებას გამოსთქვამს უმადური მტრის თავხედობის შესახებ. უსაზღვრო ზიზღს უცხადებს იმ ვერაგულ მტერს, რომელიც ცდილობს, ძირი გამოუთხაროს რევოლიუციონურ მონაპოვართა და შეარყიოს საქართველოს რესპუბლიკის კეთილ-დღეობა. ჩვენ მზადა ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ საქართველოს თავისუფლება.

**გამგეობა**

## გორის სომეხთა დეპეშა

მთავრობის სახელზე გორიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა. „გორის მაზრის სოფელ ატოცის სომხობამ 22 ქრისტეშობისთვეს ქართველი ხალხის წარმომადგენლების თანდასწრებით დაადგინა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას სომეხ-ქართველთა შორის მომხდარ ომის გამო ჩვენ სოფელ ატოცში მცხოვრებნი სომხები, ვგრძნობთ სომხეთის მთავრობის დიდ დანაშაულს ჩვენი მოძმე ქართველი ხალხის წინაშე, საშინელ ზიზღს და სიძულვილს ვუცხადებთ მათ ვინც ქართველთა წინააღმდეგ გამოილაშქრა ~~და~~ უდანაშაულოდ მოძმეთა სისხლი დაღვარა, ამიტომ უცხადებთ საქართველოს მთავრობას სრულ ჩვენ ნდობას და მზათავართ დახმარება გაუწიოთ მას, თუ კი ჩვენი დახმარება მისთვის საჭირო იქნება. მონდობილობით არჩილ სტეფანოვი და არშაკ როსტომოვი.

**მეჯვრისხევიდან.** მეჯვრისხევის კოოპერატივის უკანასკნელმა კრებამ გაითვალისწინა მოულოდნელი და მოღალატური თავდასხმა უმადურ მეზობლისაგან საქართველოზე, რომ მოსპონ მისი დამოუკიდებლობა. კრებამ ერთხმათ დაადგინა: კრება სალამს უძღვნის საქართველოს მთავრობას, პარლამენტს და გმირულ ლაშქარს და უსურვებს მათ ვერაგ მტერზე გამარჯვებას. კრება აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას. კოოპერატივის მოგებიდან კრებამ გადასდო ომის სასარგებლოდ 10.000 მანეთი.

კრების თავმჯდ. **შათიაშვილი**

**ფოთიდან.** გულწრფელი სალამი ჩვენგან საქართველოს რესპუბლიკის დამცველ გმირებს. ჩვენ მათთანა ვართ, აღტაცებით ვეგებებით მთავრობის გადაწყვეტილებას ებრძოლოს სომხეთის იმპერიალისტურ მთავრობას.

საბჭომ დაადგინა: გარდა ერთდროულ დახმარებისა თვითეულმა მასწავლებელმა ომის საჭიროებისათვის თვიურად ჯამაგირის ნაწილი გადასდოს.

საბჭოს თავმჯდომარე **გაგუა**

**საჩხერიდან.** საჩხერის რაიონის ფრონტის დამხმარე კომიტეტის კრებაზე. მზადაა დაეხმაროს ჯარს სურსათით, ტანსაცმლით და ყოველი საშუალებით. სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა შესძლებს, კვლავ შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, ძირს არარატის ავანტიურისტული მთავრობა.

**კრების თავმჯდომარე**

## ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრება

24 ქრისტეშობისთვეს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე შესდგა თბილისის ქართველ ვაჭარმრეწველ კავშირის საბჭოს მიერ სომხეთის მიერ საქართველოზე თავდასხმის გამო.

კრებას თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ნიკ. წერავა, რომელმაც გააცნო კრებას ომის დაწყება და მასთან დაკავშირებული ქვეყნის საჭიროებანი. მან აცნობა კრებას საბჭოს დადგენილება, რომ საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა წრემ გარდა იმ მოვალეობისა, რომელსაც ის გადაიხდის სამშობლოს წინაშე ერის ყველა სხვა ნაწილებთან ერთად, ქონებრივი დახმარება გაუწიოს მთავრობას საომარ საჭიროებათათვის.

ამის შესახებ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ყველა ერთხმად აღიარებდა საომარი საჭიროებისათვის მაქსიმიუმი მსხვერპლის გაღების საჭიროებას. კრებას დაესწრო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟურული. მან სიტყვით მიმართა კრებას და მადლობა გადაუხადა, რომ საქართველოსათვის ამ მძიმე მომენტში ვაჭარ-მრეწველთა კლასი უაღრეს მამულიშვილურ გრძნობებს იჩენს და მთავრობას ზურგს უმაგრებს ქონებრივ დახმარებით. მინისტრის სიტყვა კრებამ მრავალჯერ მხურვალე ტაშით დაფარა. კრებამ ამოირჩია კომიტეტი, რომელსაც დაავალა მახლობელს დღეებშივე გააწეროს ვაჭარ-მრეწველთა კლასს ათი მილიონი მანეთი და სასწრაფოდ შეკრიბოს ის საქართველოს სამხედრო საჭიროებისათვის.

## სანდრო შანშიაშვილის რაზმი.

სანდრო შანშიაშვილს ჟურნალისტების საზოგადოებაში შეუდგენია მოხალისეთა რაზმი, რომელიც დღეს თბილისში ჩამოვა.

**სვანეთი.** მობილიზაციამ კარგად ჩაიარა. მრავალი სვანი მოხალისედ ეწერება.

## პოლკ. ბეჟან ხერხეულიძის რაზმი

### მოწოდება

მოქალაქენო, მუხანათი მტერი სამშობლოს ქურდულად შემოესია და მისი საუკეთესო ნაწილის განადგურებას ცდილობს. სამშობლოს თქვენი თავი დღეს ეჭირვება. მოგიწოდებთ ყველას, ვისაც ჯერ კიდევ არ გიწევთ მობილიზაციით ჯარში გაწვევა, ჩაეწეროთ მოხალისეთა პირველ რაზმში და მით მოიხადეთ თქვენი ვალი სამშობლოსა და მამულის წინაშე. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე.

მისამართი: თბილისი ფრეილინის ქუჩა, № 11. პირველი რაზმის კანცელარია.

მოხალისეთა პირველ რაზმის უფროსი პოლკ. **ბეჟან ხერხეულიძე**

## თავდაცვის ფონდი

ნინო და მიშა ბილანიშვილებმა თავდაცვის ფონდს შესწირეს 25 მანეთი ვერცხლის ფული და სამი სპარსული აბაზიანი.

# ქრონიკა

**გუშინ ჩვენმა რადიომ** დაიჭირა დეპეშა, რომლითაც მოსკოვიდან სკაჩკოვი ეკითხება ასტრახანს. ჩვენამდე მოსულ ცნობით, საქართველოში ვითომც საბჭოთა მთავრობა დაარსდა. შეეკითხეთ რადიოთი საქართველოს მთავრობას და შედეგი გვაცნობეთ.

**ტელეგრაფის მავთულის გაფუჭება.** ორი დღეა რაც ბაქოსა და თბილისს შორის დამოკიდებულება შეწყვეტილია ტელეგრაფის მავთულის გაფუჭების გამო.

**ქურდობა.** 26 ქრისტეშობისთვეს ღამე არუთინოვის სავაჭროდან, (ვორონცოვის ძეგლთან) ბოროტ-გამზრახველებმა 60,000 მან. და სხვა და სხვა საქონელი წაიღეს.

**ძარცვა.** 25 ქრისტეშობისთვეს საღამოს 8 საათზე გ. მამუკაშვილის საგალანტერიო სავაჭროდან კიროჩნი ქუჩა № 15, შეიჭრენ რამოდენიმე შეიარაღებული პირი და სიკვდილის მუქარით წაიღეს 7,000 მან. ფული, 2 პალტო და სხვა. სულ 16,000 მანეთისა.

**ნაპოვნი გვამი.** 24 ქრისტეშობისთვეს დიმიტრიევის ქუჩაზე ნახეს მოკლულის გვამი. მოკლულია 5 თყვიით.

**მკვლელობა.** 3 ქრისტეშობისთვეს სალოცავის ქუჩაზე უცნობმა მოკლა ზ. მანუჩაროვი.

**ძარცვა.** 24 ქრისტეშობისთვეს ახალციხის შესახვევში ა. აზარიევის სახლში № 12, 5 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი შეიჭრენ და სიკვდილის მუქარით 5.000 მან. სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები წაიღეს.

**ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდ. კრება.** 27 ქრ. საღ. 4 საათზე დანიშნულია ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების საერთო კრება.

სასურველია დაესწრონ სახელმწიფო უნივერსიტეტის და ყოველი ქართველი სტუდენტი საექიმო ფაკულტეტისა.

**დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი".** კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს, ბრძოლის ველზე დაღუპულ ღარიბ ოჯახების სასარგებლოდ წარმოდგენილ იქნება „სამშობლო". წმინდა შემოსავალი მთავრობას გადაეცემა.

**კიტა აბაშიძის** გარდაცვალების წლის თავზე მისი სულის მოსახსენებლად კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

**რედაქციამ** მიიღო საქართველოს ექიმის თანაშემწეთა კავშირის ორგანო: „ექიმის თანაშემწე".

**ალმოს. საქ. სახალხო მასწავლ კრება.** 5 იანვარს, დილის 11 საათზე, ქ. თბილისში დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის ფილიალ განყოფილებათა დელეგატების ყრილობა.

ფილიალი განყოფილებები ჰგზავნიან ყრილობაზე დასასწრებლად თითო დელეგატს 25 ნამდვილ წევრზე. ფილიალს, რომლის წევრთა რიცხვი განსაზღვრულ ნორმაზე ნაკლებია, უფლება აქვს ერთი დელეგატი გამოგზავნოს.

# პროვინციის ცხოვრება

**სამურზაყანო.** სამურზაყანოს რაიონში ამ ჟამად სიწყნარეა. ადრე გავრცელებული ქურდობა და ავაზაკობა მოისპო.

**დ. აბაშა.** დიდი გაჭირვებაა სურსათისა და სხვა საგნების უქონლობით. (მაგ. ნავთი 15 მან. იყიდება) ბოლო დროს აქაც იკლო ძარცვა-გლეჯამ სომხეთის მიერ გამოწვეულ თავდასხმამ ხალხში დიდი ეროვნული ენტუზიაზმი გამოიწვია, ხალხში ვერ ნახავთ პარტიულ სულს. ამას წინად ადგილობრივ კავშირის ხელმძღვანელობით აბაშაში გაიხსნა მოკლე-ვადიანი კოოპერატიული კურსები. კურსებზე მსმენლები საკმაოა.

**გ. გლეხი.**

# თბილისის ქალ. საბჭო

**ორშაბათი 23 ქრისტეშობისთვე**

კრებას თავჯდომარეობს ა. ლომთათიძე. კრებას დაესწრენ ყველა ფრაქციათა წარმომადგენელნი გარდა დაშ-

ნაქცაკანებისა. თავჯდომარის შემდეგ ლაპარაკობს ქალაქის მოურავი **ნ. ელიავა** რომელიც აღნიშნავს დღევანდელ მდგომარეობას. სიტყვაში დიდ ყურადღებას აქცევს ქართველ-სომეხთა შეტაკებას და იმ უდიდეს მსვერპლის გაწირვას, რასაც საქართველო ეწევა. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივსა ჰსცემს განწირულ გმირთა სახელს. საბჭომ დაადგინა მოაწყოს საწოლი დაჭრილთათვის და მის საჭიროებისთვის 50,000 მან. გადაიდოს და ქალაქის მმართველობის მოსამსახურეთ, რომელნიც ჯარში იქმნენ გაწვეული შეენახოთ ჯამაგირის 50 ან 75 პროცენტი. შემდეგ ორატორებმა აღნიშნეს დაშნაკელ ხმოსანთა მდგომარეობა. ცნობა იყო რომ იგინი სრულიად შეიპყრეს. ნ. ელიავა აცნობებს საბჭოს, რომ მით არ დააპატიმრებენ როგორც ხმოსნებს დ თუ სხვას აპატიმრებენ—მხოლოდ საქართველოს მოღალატეთ. რაც შეეხება სომეხ-მილიციონერთა დათხოვნას, ქალაქში ამის გამოცვლილება არ მომხდარა და სრული წესიერებაა. საბჭომ იქონია მსჯელობა სახადის გავრცელებაზე და ამიერიდან საავადმყოფოები 700 საწოლით გადიდდება გამგეობა ამტკიცებს ქალაქის მოსამსახურეთათვის „პურის დამატება“. ბოლოს საბჭო ეხება წვრილ საკითხებს და გადადის მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებზე სხდომის გადაწყვეტილებით არჩევნები შემდეგისთვის გადაიდო.

# ლორე, ფამბაკი და ხუნანი

პირველად რომ თემურიდანგი შემოესია საქართველოს, იმ დროს (1380 წ.) მდინარე არეზის (არაქსი) ნაპირამდე არე-მარე საქართველოს ეკუთვნოდა. აქ არეზის პირზედ ამართული იყო კლდეებზედ **ალინჯის ციხე**, ერევნის ქვევით, და ქართველები იყვნენ დარაჯად. თემურდანგის მრისხანე ხმალი პირველათ მათ ეკვეთა და დიდი სისხლის ღვრის შემდეგ ქართველნი ხმლის ქნევით გამოეცალნენ. ლორის ციხეშიაც სახელოვნათ გაუმკლავდნენ ქართველნი და ბრძოლით დაიხიეს უკან. გაბრუნდა თუ არა თემურლანგი ქართველებმა მაშინვე დაიჭირეს ალინჯაცა და ლორეც. შვიდჯერ შემოესია თემურლანგი საქართველოში და აოხრა, მაგრამ შვიდჯერვე ქართველებმა გული არ გაიტეხეს და სახელოვნათ უმკლავდებოდნენ. 1405 წ. 19 იანვარს თემურლანგი მოკვდა და მცირე აზიის მხრითგან გამოჩნდნენ ოსმალები; ახლა ამათ დაიპყრეს ალინჯა და ლორე, მაგრამ ალექსანდრე მეფე მიუხდა და ოსმალები გარეკა. ლორე ბევრჯერ აიღეს თათრებმა, მაგრამ ქართველები მალე იბრუნებდნენ თავის მამაპაპის სამკვიდრებელსა. მაგ. ოსმალებმა აიღეს ლორის ციხე 1568 წ., მაგრამ დიდი სვიმონ, მეფე ქართლისა, მიუხდა და ისე გაჟლიტა მეციხოვნე ოსმალნი, რომ ამბის წამღები არ გადარჩა. სადა ბრძანდებოდნენ მაშინ სომხის სარდალ-სპასალარები?

მდ. ფინეზიაურის აღმოსავლეთით ვრცელ ველზე, ხატის სოფლის დასწვრივ დაბანაკებული იყო ოსმალთა დიდი ჯარი 1579 წ. სვიმონ მეფე ნახიდურზედ (ეხლა არხლო, მდ. ხრამზედ) იდგა, ერთ საღამოს გასწია ჯარით ბოლნისისკენ, მოუარა და ხატის სოფლის სამხრეთით ამართულ ტყიან ქედზე ამოვიდა, მაღლის ყვილზედ ჩამოეპარა და ღვთის რისხვა დასცა ოსმალთა ბანაკსა, აუარებელი ჯორაქლემი და ფანჯიაქი დარჩათ ქართველებსა. ამის შემდეგ ლორე ცოტა ხნობით ეჭირათ ხოლმე რამდენჯერმე სპარსელებსა, მაგრამ ქართველები მალე ჩადგებოდნენ ხოლმე. 1750—1795 წ. ერეკლე მეფეს მოსამზღვრე საყარაულოები ედგა ლორე-ფამბაკში და აქედგან უმკლავდებოდა სპარსელებსა და ადერბეიჯანის ხანებსა. 1777—1781 წ. ლორე—ფამბაკის მოურავი იყო ლევან ბატონიშვილი, შემდეგ ალექსანდრე. 1706 წელს საქართველოს მეფემ ვახტანგ მეექვსემ გაიყვანა მდ. ხრამითგან დიდი სარწყავი არხი, ააბრუნა წისქვილები, მოიყვანა თათრები და სარვანში დაასახლა ბრინჯის და ბამბის მოსაყვანათა.

დარეჯან დედოფალმა, ერეკლე მეფის მეუღლემ, მდ. ხრამის პირზედ ააშენა მშვენიერი ციხე—ქოლაგირი, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზედ, აქვე გააშენა თუთნაარი, მოიყვანა ასიოდე ქუმი (აბრეშუმის მომყვანნნი) და შემოსავალი მოიმატა.

1735 წ. საქართველოს დარბევის შემდეგ შაჰნადირი ჩავიდა მუღანში, იქ იკურთხა გვირგვინი და სპარსეთის ყეენად დაბძანდა. აქ მიეგება და იახლა ეჩმიაძინის სომხის კათალიკოსი ლუკა (?) თავის კრებულით, დალოცა და დაჩოქილმა შემოარტყა წელზედ თვლებით შემკული ოქროს ხმალი, თან ათასი თუმანი ფეშქაში მიართვა.

ორი ათასი წელიწადია ისტორიით, რაც ქართველები დღევანდელ ტერიტორიაზედ ბინადრობენ. ამ ხნის განმავლობაში სომხები მარად ხელს უმართავდნენ ქართველებზედ მოსეულ მტერსა—იარაღით, ჯაშუშობით, სარჩოსაბადებლით და სხ. როცა ოსმალოსპარსთა და ადრიბეჯანის ხანების ზედი-ზედ შემოსევამ ააოხრა და აატიალა ლორე, ხუნანი (ბორჩალო) და ჯავახეთი, ამ ასიოდე წლის წინ მოვიდნენ ოსმალეთიდან და დაბინავდნენ. ოსმალეთიდან მოვიდნენ, მაგრამ ოსმალეთში დაბრუნება ეზარებათ და საქართველოს ნანგრევებზედ აპირობენ თავის საერო დიდების აღშენებასა და გაბედნიერებას.

დეკანოზი პ. კარბელაშვილი.

# ქართველ სტუდენტების საყურადღებოდ

24 ქრისტეშობისთვეს შესდგა ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ თბილისის პოლიტეხნიკუმის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა ინტერპარტიულ ბიუროს ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელნი.

საერთო კრებამ იქონია რა მსჯელობა მომენტის შესახებ, დაადგინა: დაეხმაროს საქართველოს მთავრობას სამშობლოს თავდაცვაში.

პრაქტიკულად ამ მიზნის განსახორციელებლად აირჩიეს 6 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც შეუთანხმდა თბილისის პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებს.

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის და თბილისის პოლიტეხნიკუმის გაერთიანებული კომისია მოუწოდებს ქართველ სტუდენტებს განურჩევლად სქესისა, შემოკრბენ ამ ორგანიზაციის გარშემო.

ყოველგვარი ცნობები მიიღება უნივერსიტეტის შენობაში (გოლოვინის პრ. № 10) ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 5—7-მდე მორიგე კომისიის წევრისაგან.

კომისიაში არჩეულ არიან: ნ. ჯაიანისა, ს. ღამბაშიძე, ა. თარხან-მოურავი, ი. მოშიაშვილი, ბერიძე, ჩხეიძე.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

## ფრანგული პრესა 24 ქრისტ.

**გერმანიის ხელმძღვანელი წრეები**

გერმანიიდან უკანასკნელ დღეებში მიღებული რადიო დეპეშები ჰმოწმობენ, რომ დამარცხებას ჯერ ვერაფერი უსწავლებია გერმანიის ხელმძღვანელ წრეებისთვის. რამდენიმე კვირის სიწყნარის შემდეგ რაეენიდან მოსული რადიო დეპეშები უფრო მეტის წინდაუხედაობით, ვიდრე როდისმე, შეიცავენ ომის ძველ იმპერიალისტურ თეზისებს.

**იტალიის მეფეს დეპეშა საფრანგეთის პრეზიდენტისადმი**

იტალიის მეფემ საფრანგეთის პრეზიდენტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გამოთქმულია მადლობა იმ სტუმართ - მოყვარეობისთვის, რომელიც მისდამი გამოიჩინეს საფრანგეთში უკანასკნელათ იქ ყოფნისა და მოგზაურობის დროს „დიდათ სასიამოვნო იყო ჩემთვის ის დღეები, რომელიც გავატარე პარიზში სადაც ნათლად ვიგრძენი, რომ ჩემი ნათესაური ერი ერთი გრძნობით არის გამსჭვალული. დიდი სიამოვნება ვიგრძენი აგრეთვე ომისგან განადგურებულ ფრანგულ როტებში, სადაც საფრანგეთი უკანასკნელ ღონისძიებამდე სცდილობდა გამკლავებოდა მტრის შეტევას დიდი სიხარულით შევცქერი ჩვენს საერთო გამარჯვებას და საუკეთესო ხსოვნა დარჩა ჩემში იმ დღეებისა, როცა სულ ახლო ვიგრძენ დიდებულ საფრანგეთის ძმური გულის ცემა“.

**ომის საბუთების გამოქვეყნება**

„პტი-პარიზიენის“ თანამშრომელმა ინახულა გერმანიის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, ომის პასუხისმგებლობის საბუთების განმხილველი, და შემდეგი პასუხი მიიღო: ერთი თვის შემდეგ გამოქვეყნდება საბუთები პირველი ნაწილი. იმავე დროს ავსტრიის მთავრობა გამოაქვეყნებს ბალიპლატში (?) ნაპოვნ საბუთებს. მე არ შემიძლია არავითარი განსაზღვრული დასკვნა გავაკეთო, მაგრამ საბუთები ამტკიცებენ, რომ კრუპის ქარხნის ყოფილი დირექტორის დ-რ მიურმის და პრინც ლიხნოვსკის მოსაზრება გამართლდა. ომის დაწყებაში და მის წარმოებაში შემდეგ წრეებს სდებენ ბრალს: კაიზერს, კრონპრინცს, ლიუდენდორფს ტირპიცს, მრეწველებს და პანგერმანელებს.

**გერმანული პრესა**

**უკრაინა.** 24 ქრისტეშ. უკრაინაში მყოფ გერმანულ ჯარებთან საფოსტო კავშირი შესწყდა.

**ჰუსტავ მიულლერი**

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიამ გახსნილ საერთო კრებაზე 23 ქრისტეშ. პარტიის თავმჯდომარედ აირჩია ჰუსტავ მიულლერი.

**მასარიკ-ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტი**

მასარიკი პრაგაში ჩამოვიდა ის ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკი პრეზიდენტად აირჩიეს.

**გერმ. დამფუძ. კრების კანდიდატები**

სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ გამოაქვეყნა დამფუძნებელ კრების კანდიდატთა წინასწარი საარჩევნო სია. სიაში შეტანილია 2 ქალი, ებერტი, გეტმან რობერტი, შმიდტი, პვანკუხი, პვაკლე, ჰირში, ჰელმანი და რუდოლფ კოგენი.

**კაროლსი და მაკენზენის ლაშქარი.**

„ფრაკფურტერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტი ვენიდან იუწყება, რომ ჰუნგრეთის განმათავისუფლებელის მაკენზენის დაკავება მიეწერება კაროლის პირად ინიციატივას, რის გამოც ჰუნგრელნი აღშფოთებულნი არიან მის წინააღმდეგ. კაროლიის შეძლო გაეფრთხილებინა მაკენზენი მის ბუდაპეშტში შესვლამდე, მაგრამ ის ასე არ მოიქცა და თავის მეგობარ ფრანგებს ხელთ ჩაუგდო.

**პოლონელთა და ჩეხების შეთანხმებისთვის.**

პოლონელების და ჩეხების შუა დადებული შეთანხმება იმ ოლქების შესახებ რომლებითაც ორივე მხარიდან დაინტერესებული, დიდმნიშვნელოვანია და სილეზიის გარდა სხვა ოლქებსაც შეეხება, აღმოსავლეთ საქსონიაში. ვენის მცხოვრებთა შორის ჩეხელთა სასარგებლოთ დიდი პროპაგანდა სწარმოებს და სამხრეთ აღმოსავლეთ საზღვარზე თავს იყრიან ჩეხელთა ჯარებს, რაც შიშს იწვევს მცხოვრებთა შორის, ფრანგ-ოფიცრების ზედამხედველობით აგროვებენ ჩეხელთა დიდ ჯარს სხვა და სხვა სამხედრო მასალით, ხოლო რეიხემბერგსა და მოჰენტანი თავს უყრის ჩეხელ რკინის გზის მოსამსახურეებს. ეს ფაქტები, რომელიც მწვავდება იქ მყოფ ფრანგ ოფიცრების საქციელი. შეიძლება ის აიხსნას რომ საქსონიის ნაწილის ოკუპაცია უკვე მომხდარია.

**ბერლინის დამფუძნებელ კრების არჩევნებში.**

22 ქრისტეშ. ბერლინი დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელ სურათს წარმოადგენდა.

გერმანიის ბევრ ნაწილში ორივე მიმართულების სოც.-დემ. შეთანხმდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ცალკე საარჩევნო სიები გამოუშვეს, გაერთიანებას ცდილობენ.

გერმანიის რკინის გზის კავშირის სახელმწიფო კონფერენციამ პროტესტი განაცხადა ცენტრის პარტიის სეპარატისტულ გამოსვლებისა და დასავლეთ და აღმოსავლეთ პოლონელთა წინააღმდეგ.

# უცხოეთის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ინგლისელების მოწოდება ბოლშევიკების მიმართ.**

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან ჩრდილოეთის ასპარეზზე ინგლისელების მფრინავები ჰაეროპლანებიდან მოწოდებებს ჰყრიან. მოწოდებაში ბოლშევიკებს წინადადებას აძლევენ დაჰყარონ იარაღი, ხელი აიღონ შეთანხმების ჯარების წინააღმდეგ მოქმედებაზე, მისცონ ბოლშევიკების ბუდეები დაწესებულებანი და იხსნან რუსეთის ხალხი არსებულ ძალადობისაგან. დამნაშავენი კი დამფუძნებელ კრებას გადასცენ გასასამართლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი მოწოდებაში იმუქრება იმით, რომ ამ მოკლე ხანში დიდი სამხედრო ძალებით შეტევას დაიწყებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

**ბ ა ქ ო შ ი.**

„კამლოს“ საზოგადოების საწყობს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა სამ-ნახევარ მილიონის საქონელი.

**ვიატკაში.**

ვიატკის ბოლშევიკების საგანგებო კომისია მოითხოვს, სასტიკი სასჯელის შემოღებას.

**პეტროგრადში.**

„უტრო მოსკვის“ გადმოცემით, პეტროგრადში გამოაქვეყნეს საგანგებო კომისიის მოქმედების შედეგები. 5,520 დაპატიმრებულიდან დაუხვრეტიათ—806 კაცი.

**ყაზანის ევაკუაცია.**

ყაზანის ევაკუაცია დაიწყო. ბოლშევიკების საბჭო და ყველა დაწესებულებები სამარაში გადაიტანეს.

**ულტიმატუმი ბოლშევიკებისადმი**

კიევის პოლიტიკურ წრეებში ფინეთიდან მიღებულია ცნობა, რომ ინგლისის ფლოტს, რომელიც ამ ჟამად ლიბავაში სდგას, ებრძანა ულტიმატუმით მოსთხოვოს საბჭოს მთავრობას მოსკოვში, რომ მან მთელი ძალა უფლება გადასცეს იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც მოკავშირეთა სახელმწიფონი და რუსეთის სახელმწიფოებრივი პარტიები შეთანხმებით აირჩევენ.

მოკავშირენი უცხადებენ, რომ თუ ბოლშევიკებმა ერთი თვის განმავლობაში უარი არა სთქვეს თავის ხელმწიფებაზე და ყველა უფლებები არ გადასცეს, მაშინ პოლონეთით და ფინეთით და აგრეთვე სამხრეთით მთელი ძალებით შეუტევენ მოსკოვს და საბჭოს რუსეთს მოსპობენ. ულტიმატუმით ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვითაც ემუქრება.

**ფინლიანდიაში**

ფინლიანდიაში ახალი მთავრობა შესდგა პროფესორ მანის მეთაურობით. მთავრობაში შედის 7 მონარხისტი და 6 რესპუბლიკანელი. აგრარიები კაბინეტში არ შევიდენ, რადგან ისინი მოითხოვდნენ, რომ მთავრობაში უმეტესობა რესპუბლიკანელები ყოფილიყვნენ.

**სამშვიდობო კონფერენცია**

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ სამშვიდობო კონფერენცია შეიყრება პარიზში საგარეო სამინისტროს დარბაზში და არა ვერსალში. როგორც ფიქრობენ კონფერენცია სამ თვეს გაგრძელდება და საზავო პირობებს აპრილში ხელს მოაწერენ. იმავე დროს ვერსალში მოხდება საფრანგეთის ეროვნული ყრილობა.

**არეულობა ეკატერინო' ლავში**

ეკატერინოსლავის ქუჩებზე ბრძოლა მოხდა პეტლიურას და მერვე კორპუსის შორის. დახოცილები და დაჭრილნი ორთავე მხარეს არის.

**დანციგის ნავთსადგურში**

23 ქრისტეშ. გაზეთების ცნობაა, პოლონეთმა დანციგის ნავთსადგურში ჯარი გადმოსხა, სიმართლეს არ შეეფერება.

**ჩეხიის სოც.-დემ. პროტესტი.**

**პრაგა,** 18 ქრისტ. ჩეხელ სოც.-დემოკრატებმა პროტესტი განაცხადეს სერბიის იმპერიალისტების პოლიტიკაზე ბოჰემიის გერმანელთა მიმართ.

**დამოუკიდებელთა დადგენილება.**

**ბერლინი,** 18 ქრისტ. დამოუკიდებელთა პარტიამ დაადგინა არ იმუშაოს მემარჯვენე სოციალისტებთან ერთად.

**რევოლუცია ბულგარეთში.**

**ბერლინი.** 19 ქრისტ. ბულგარეთში ისევ დაიწყო რევოლუცია.

# ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე სასამართლოში

მესამე დღე.

(გაგრძელება)

**თავმჯდომარე.** თქვენ იცნობდით ჩალხუშიანს როგორც რუს-პატრიოტს, რომელსაც გული სტკიოდა რუსეთზედ, მაგრამ იცოდა თუ არა მან, რომ დაარსდა სომეხთა არარატის რესპუბლიკა და რა აზრის იყო იგი ამ რესპუბლიკის შესახებ? უნდოდა მისი აღორძინება თუ არა?

**შმაგაილოვი.** ჩალხუშიანი რუსეთის პატრიოტი იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, რომ ყოფილიყო სომხეთის პატრიოტიც და როდესაც სომხური სამხედრო ეროვნული ერთეულები არსდებოდნენ, იგი დიდის ენერგიით მოქმედებდა ამ ერთეულების შექმნაში. ეს იყო 1918 წლის მაისში; მე ამ დროს უკვე სხვა საქმეებში ვიყავ გართული და დრო არ მქონდა, თვალყური მედევნებინა მის მოქმედებისათვის, მით უმეტეს, რომ ივნისში დაიჭირეს ჯუნკოვსკი, რუზენაუ და ესეთივე საფრთხე მე მომელოდა.

**თავმჯდომარე.** რა პარტიას ეკუთვნოდა ჩალხუშიანი?

**შმაგაილოვი.** არ ვიცი, რადგან ამ თემაზედ ჩვენ ლაპარაკი არ გვქონია, მაგრამ ვიცი, რომ როდესაც სომეხი მოლვაწე არაქელიანი მოჰკლეს, ჩალხუშიანი დიდათ აღშფოთებული იყო ამ გარემოებით და მკვლელობას დაშნაკციუთუნის პარტიას აბრალებდა.

**თავმჯდომარე.** რა წრეში გიხდებოდათ თქვენ მოქმედება?

**შმაგაილოვი.** ჩემი ყოფილი ამხანაგები და უფროსები აქ ბევრნი იყვნენ, მაგრამ მათთვის მიმართვა არ შემეძლო, რადგან საფრთხილო იყო; მაგრამ თბილისში დაარსდენ უმუშევარ აფიცერთა მრავალი არტელები, რომელნიც სასურსათო საქმეებს აკეთებდნენ და ჩალხუშიანს სწორედ ამიტომ ვთხოვე, რომ ამ ოფიცრებთან მიეყვანა ვინმე დამხმარეთ. თვით ჩალხუშიანი კადრის ოფიცერი იყო და ესეთს წრეში, თქვენ იცით, რომ დიდად დაცულია ამხანაგობა და პოლკის დატოვების შემდეგაც რჩებიან მეგობრები.

**თავმჯდომარე.** თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ ჩალხუშიანი დახმარებას აღმოგიჩენდათ?

**შმაგაილოვი.** დიაღ! ის დარწმუნებით ანგლოფილი იყო.

**თავმჯდომარე.** თქვენ იცოდით, როდის ჩამოვარდა დროებითი ზავი?

**შმაგაილოვი.** მე ვიცი ყველაფერი, რაც მოხდა და გაზეთებში იყო 29 ოქტომბრამდე; ამის შემდეგ კი სრულებით მოწყვეტილი ვარ ქვეყნიერობას.

**თავმჯდომარე.** ჩალხუშიანს რაიმე ზედმეტი სახელი ჰქონდა, თუ არა?

**შმაგაილოვი.** ცოლი ეძახდა „დიაბას“.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბრალდებულის ეს განცხადება ოქმში იქნება შეტანილი.

**თავმჯდომარე:** იცოდით თუ არა თქვენ რაიმე „დაშნაკცაკანების“ დამოკიდებულების შესახებ ინგლისელებთან, ან ბოლშევიკებთან.

**შმაგაილოვი:** არაფერი არ ვიცოდი.

**თავმჯდომარე:** საიდან იცოდით თქვენ, რომ გერმანელები წასვლას აპირებდენ?

**შმაგაილოვი:** გერმანულ მისიაში მე აგენტი მყავდა, რომელიც დაწვრილებით მატყობინებდა ყველაფერს.

**თავმჯდომარე:** რამდენი დაპირდით ხიდის ამფეთქებელს და მიეცით თუ არა ეს ფული.

**შმაგაილოვი:** ფულის მიცემას იმ დროისთვის დავპირდი, როდესაც კავშირის აღდგენა შეიძლებოდა ინგლისელებთან.

**თავმჯდომარე:** რამდენს იღებდით თქვენ ჯამაგირს ომამდე.

**შმაგაილოვი:** 750 მანეთს თვეში. ამის გარდა გავყიდე სახლი და ფულად ამ ჟამად მექნება 10 ათასამდე.

**სამოქალაქო მომჩივნის ვექილი პეტრე ქავთარაძე:** იცოდით თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი?

**ბრალდებული:** ვიცოდი, გაზეთებში წამიკითხავს.

**პ. ქავთარაძე:** არ წაგიკითხავს, რომ საქართველომ მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

**შმაგაილოვი:** არა.

**პ. ქავთარაძე:** სთვლიდით თუ არა თქვენ სახელმწიფოებრივ აქტათ.

**შმაგაილოვი:** საქართველოსთვის, რასაკვირველია, იგი სახელმწიფოებრივ აქტად ჩაითვლება.

**თავმჯდომარე:** თქვენ სთქვით, რომ მატარებლის მოახლოვების გამო, ხიდზედ მუშაობა შეაჩერეთ. რა მიზნით.

**შმაგაილოვი:** მე არ მინდოდა მკვლელი ვყოფილიყავი.

**პ. ქავთარაძე** ითხოვს ოქმში იქნეს შეტანილი, განსხვავება ბრალდებულის მიერ გუშინ და ეხლა მიცემულ ჩვენება. გუშინ იგი ამბობდა, რომ მუშაობა შეაჩერა, რადგან ეშინოდა მატარებლის გავლისას დარაჯები არ გადმოსულიყვნენ, ხოლო ეხლა იმით ხსნის, რომ არ სურდა მკვლელი ყოფილიყო.

კრება 5 წუთით სწყდება.

**დამცველების მოწმენი.**

კრების განახლებისას იწყება დამცველთა მოწმეების დაკითხვა.

პოლკოვნიკი **გატოვცევი.** შმაგაილოვის მოწმეა. ახასიათებს შმაგაილოვს, როგორც ნიჭიერ სამხედრო ინჟინერს, დაუღეგარ და უშიშარ კაცს და იდეიით გატაცებულს. შემდეგ მოწმე აღნიშნავს, რომ მან, ამ საქმის გამო მიმართა ამერიკის წარმომადგენელ კარტან ბუმანს, რომელმაც მას გადასცა, რომ შმაგაილოვმა ეს საქმე ინგლისის მისიასთან შეთანხმებით მოაწყო და განთავისუფლებულ უნდა იქნესო. აქ ჩამოვიდა—განაგრძობს მოწმე—ინგლისელი კაპიტანი ხოლსი, რომელმაც დეპეშა გაუგზავნა ინგლისის [illegible] დარში და გენერალ ტომსონს ბაქოში, რათა ამ საქმის შესახებ მიიღონ ზომებიო. ხოლსმა ინახულა აგრეთვე საქ. მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო რა შედეგი მოყვა არ ვიციო.

**პ. ქავთარაძე.** იცის თუ არა მოწმემ, რომ ბ-ნი ბუმანი ამერიკის დიპლომატიური წარმოდგენილი, თუ გადმოხვეწილთ დამხმარე კომიტეტის წევრია.

**მოწმე გატოვცევი:** არ ვიცი.

**ექსტერიტორიალური უფლება.**

**ქავთარაძე.** ბუმანი არის ამერიკის ოფიციალური წარმომადგენელი, თუ გადმოხვეწილთა დამხმარე საზოგადოების.

**გატოვცევი.** არ ვიცი.

შმაგალოვის დამცველი **ზელენსკი** ამტკიცებს გატოვცევის ჩვენების შემდეგ, რომ შმაგაილოვს შეუძლია ისარგებლოს ექსტერიტორალური უფლებით, რადგანაც ეს საქმე არის საერთაშორისო უფლების სფეროში და ამიტომ ადგილობრივ სასამართლოს არა აქვს უფლება ის გაასამართლოსო.

**პოტებნია.** სამოქალაქო მომჩივანი ამბობს, რომ საქართველოს რკინის გზას მიაყენა ზარალი განსაზღვრულმა პიროვნებებმა. სასამართლოს შეუძლია მისი გასამართლება. ან ამ ბრალდებულებმა უნდა აუნაზღაურონ ეს ზარალი, ან და იმათ ვისი შთაგონებით ეს მოიმოქმედა, მაგრამ დღეს ჩვენ სხვა არავის არ ვხედავთ გარდა შმაგაილოვ და მისი ამ საქმეში ამხანაგებისა, ამიტომ ისინი სასამართლომ უნდა გაასამართლოს.

**დემიდოვი.** (სამოქალაქო მომჩივანი) ექსტერიტორიალური უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის პირნი, რომელნიც მსახურობენ საელჩოში. ბრალდებული, როგორც ვიცით, საელჩოში არ მსახურებდა, ამიტომ არ შეუძლია ექსტერიტორიალური უფლებებით ისარგებლოს, თუ ვინმე ურევია ამ საქმეში ექსტერიტორიალური უფლებებით და ეს დამტკიცდება, მაშინ მთავრობას მიმართავს ეს სასამართლო და იმის საშვალებით დასჯილ იქნება დამნაშავე. ამიტომ სასამართლომ პროცესი უნდა განაგრძოს.

**ზელინსკი.** კითხულობს საერთაშორისო უფლების ზოგიერთ პუნქტებს, აგრეთვე მიუთითებს დემიდოვს გერმანიის ცნობილ იურისტის ნაწერებზე და კანონებზე.

**დემიდოვი.** წამოყენებულ საკითხის გარჩევის დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ადგილობრივი კანონებით, პარლამენტის და მთავრობის დადგენილებებით, არ უნდა ვილაპარაკოთ სხვა სახელმწიფოებრივ კანონებზე და სხ. ეს იქნებოდა ადგილობრივი კანონებისადმი და მთავრობისადმი უპატივცემლობა და დანაშაული. არავის არა აქვს უფლება სთქვას, რომ საქართველოს მდგომარეობა არ იყო ნეიტრალური და სხვა. ამიტომ მე მგონია სასამართლო ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და საქმის გარჩევას განაგრძობს.

**პ. ქავთარაძე.** აქ გატოვცევმა გააკეთა სენსაციური განცხადება, რომელიც არაფრით არ არის დასაბუთებული. ზელენსკი დაეყრდნო ამ განცხადებას და უკიდურესობაში ჩავარდა. ასეთ განცხადებას წინათაც ქონდა ადგილი ახლა პაიკოს მაგივრად მხოლოდ ხოლსი იქნა მოხსენებული. შესცვალეს სახელები, ხოლო შინაარსი ერთი და იგივეა. მე მგონია, რომ სასამართლო უარჰყოფს ასეთ დაუსაბუთებელ ზელინსკის შუამდგომლობას.

**ბრალმდებელი ჩხატარეიშვილი** ითხოვს, რომ ამ საკითხის გამორკვევა გადადებულ იქნას იმ დროისათვის, როდესაც ყველა მოწმენი დაკითხულ იქნებიან.

**სასამართლოს დადგენილება.**

თათბირის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს ესეთი რეზოლუცია.

1) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სასამართლომ სრულებით არ იცის ძეგვის ხიდის აფეთქების აქტი არის თუ არა დადასტურებული ინგლისის მთავრობის მიერ, რადგანაც ამის შესახებ არ არის წარმოდგენილი არავითარი ოფიციალური საბუთები ინგლისის მთავრობის მხრივ, ხოლო პაიკს, გოლშმიდტს და სხვას სასამართლო უცქერის, როგორც კერძო პირთ უცხო სახელმწიფოისა, რომლებსაც სრულებით არ შეუძლიანთ ექსტერიტორიალური უფლებით ისარგებლონ. 2) მიიღო რა სასამართლომ მხედველო-

ჩვენი გაზეთის კანტორასთან და „საქართველოს“ რედაქციის ფონდი

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას

ბაში, რომ ბრალდებულნი არა თუ არ მსახურობენ ინგლის-საფრანგეთის მისიაში, არამედ—არ არიან ინგლის-საფრანგეთის კოალიციის მოქალაქენიც, და 3. მიიღო რა მხედველობაში აგრეთვე, რომ პაიკი, გოლშმიდტი და სხვები ამ საქმეში არიან წაქეზებულნი, როგორც ეს სჩანს ბრალდებულ შმაგაილოვის და მოწმე გოტოვცევის ჩვენებიდან, ამიტომ ბრალმდებლებს (პროკურორს) ეძლევა უფლება მათ წინააღმდეგაც აღძრან სისხლის სამართლის საჩივარი. ეს გარემოება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს საქმის მდგომარეობაზე, ამიტომ სასამართლომ დაადგინა საქმის გარჩევა გაგრძელებულ იქნას.

**შმაგაილოვის თანამოსამსახურენი**

შემდეგ ჩვენებას იძლევიან პოლკოვნიკები **ბოლბაშევსკი** და **გალამენცევი**. ისინი არსებითს არაფერს არ ამბობენ, გარდა იმისა, რომ ახასიათებენ შმაგაილოვს, როგორც ნიჭიერ ტეხნიკს.

**გალამენცევი**. ბრალმდებლის კითხვაზე მატერიალურად უზრუნველყოფილ იყო თუ არა შმაგალოვიო, ამბობს, რომ ისე იყო, როგორც ჩვენ ყველანიო, განსაკუთრებით მას ქონება არ ქონდათ.

[illegible]

ალაგზე ჯდება).

**თავმჯდომარე**. მოწმე ყურულაშვილი! (ყურულაშვილი წინ წამოდგება).

**ვექ. ა. ქავთარაძე** (ყურულაშვილს) ის როდის იყო, თქვენ რომ პატრონტაშებს უკეთებდით კუჩარიანცს და მისგან მოყვანილ აფიცრებს?

**ყურულაშვილი**. ჩვენ პატრონტაშებს უკეთებდით ჯარს. კუჩარიანცს მოჰყავდა ჩვენთან სალდათები სომხის ჯარისა, მაშინ რუსის ჯარიც აქ იყო. სომხებს თავისი ჯარი ჰყავდათ. კუჩარიანცი ნაცნობი იყო ჩვენი, მუშტარი მოჰყავდა. მაშინ ქარვასლაში (არამიანცის) უფროსად იყო. ქარვასლაში ჰქონდათ ავტომობილები, [illegible]ელი, იარაღი, იქ იყო საწყობი [illegible]ხებისა.

**ვექ. პ. ქავთარაძე**. ის [illegible]ოგორ იყო, ერევნის მოედანზე რომ შეგხვდა კუ- [illegible]

ლა გეყიდნა და რომ გადაეცი, მაშინ რა გითხრა კუჩარიანცმა?

**ყურულაშვილი**. ხიზილალა რომ გადავეცი, მითხრა, წამომყევი მცხეთაში, მერე დილომში, აქაური კაცი ხარ, გზები გეცოდინებაო. მე „ატკაზი" უთხარი, არც გზა ვიცი, არც წამოვალ-მეთქი. ბოლოს მითხრა, ცხვრები უნდა ვიყიდოვო.

**დამცველი პოპოვიანი** (ყურულაშვილს) კუჩარიანცს ხომ არ უთქვამს გასეირნოთო.

**ყურულაშვილი**. გასეირნების თაობაზე არაფერი არ უთქვამს. (ყურულაშვილი თავის ალაგზე ჯდება).

**თავმჯდომარე**. პოლკოვნიკი გატოვცევი! (დარბაზში არ აღმოჩნდა).

**თავმჯდომარე** (კუჩარიანცს). თქვენ სთქვით სანოვაგის სასყიდლად წაველ მცხეთაშიო, მცხეთის სადგურზე წახვედით თუ სოფელ მცხეთაში? რა უნდა გეყიდნათ?

**კუჩარიანცი** (ბრალდებული) მცხეთაში ცხვრები უნდა მეყიდნა, ქათმები, კვერცხები, ერბო. თან მქონდა 375 მან. ოქროს საათიც მქონდა. ოცჯერ გამჩხრიკეს, თოფის კონდახებით მცემეს. ფული ვინ ამომაცალა არ ვიცი; როცა დამიჭირეს, ერთბაშად და- [illegible]

შეიძლება საგრძნობლად შეუმცირდეს.

**დამცველი** მოითხოვს საქმის გადადებას, ვიდრე პოლკოვნი შმაგაილოვი გამოკეთდებოდეს.

**ბრალმდებელი**. ბ-ნ ექიმის აზრის მერე არა ვფიქრობ, ვითომც პოლკ. შმაგაილოვი თავს იავადმყოფებდეს, მაგრამ მინდა ნამდვილად გამოირკვეს, თუ რა ხნის განმავლობაში შეიძლება იგი მოკეთდეს. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია საჩქაროდ მოწვეულ იქმნენ ექსპერტები პოლკ. შმაგაილოვის შესამოწმებლად.

სასამართლო სადარბაზოდ გადის, შმაგაილოვი სახეგალიმებული რალაცას ესაუბრება თავის ვექილს ბ-ნ პოპოვიანს ბრალდებულთა მოაჯირდან თავმოყუდებული.

სასამართლომ გადასწყვიტა, საქმის [illegible]

[illegible]

სიანცი. ავეტისიანცი წინ წამოდგება, აგრეთვე მეორე მოწმე ექიმი ტერ-მინასიანცი. ფიცის მიღებაზე უარს აცხადებენ და მხოლოდ სამოქალაქო ალთქმას სდებენ, რომ სიმართლეს აჩვენებენ.

**თავმჯდომარე**. დარბაზში დარჩება მოწმე ექიმი ტერ-მინასიანცი. (ავეტისიანცი მოწმეთა ოთახში გადის).

**ექ. ტერ-მინასიანცი**. ჩალხუშიანის ოჯახს ერთი წელიწადია ვიცნობ მოსკოვიდან, იქ რვა თვეს დაჰყო. ჩუმი, გულჩათხრობილი კაცი იყო კრებებზე ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. კავკასიაში ჩამოსვლისას შევხვდი, გაუხარდა, თავისი მეუღლე გამაცნო. ეს იყო კავკავის სადგურზე. მაშინვე გავშორდით. მერე აქ, როცა ავათ უხდებოდა მეუღლე, ყოველთვის მე მიწვევდნენ, ხშირად ავათმყოფობდა. ამ საქმის წინ ხუთი დღეც იყო რაც არა ვყოფილვართ ჩალხუშიანთან სხვა მძიმე ავადმყოფი მყავდა. ხიდის აფეთქების შემდეგ დილით გამაღვიძეს და საგანგებო რაზმის ბინაზე წამიყვანეს. გავკვირდი. ჩალხუშიანის ოჯახთან და განსაკუთრებით ჩალხუშიანის ავადმყოფ მეუღლესთან ჩემთვის მეტად საინტერესო იყო ხანგრძლივი საუბარი, რადგანაც როგორც ექიმს მაინტერესებდა თვით ავადმყოფის ბუნება და მსვლელობა. ამ ოჯახთან კარგი განწყობილება და დამოკიდებულება მქონდა.

**ვექ. პ. ქავთარაძე**. (მოწმეს) დიდი ხანია თბილისში იმყოფებით?

**ექ. ტერ-მინასიანცი**. თბილისში 1917 წ. აგვისტოდან ვარ, ჩემზე ცოტა ადრე იყვნენ აქ ჩამოსული ჩალხუშიანები.

**ვექ. პ. ქავთარაძე**. როგორც მახლობელი არ იცნობდით რუბენ ჩალხუშიანის პოლიტიკურ რწმენას?

**ექ. ტერ-მინასიანცი**. ამ მხრივ არ ვიცნობდი, საუბარი არა მქონია, მგონი დაშნაკცაკანები არ უყვარდა, პარტიებს ერიდებოდა.

**ვექ. პ. ქავთარაძე**. სად გაიცანით პოლკოვნიკი შმაგაილოვი?

**ექ. ტერ-მინასიანცი**. შმაგაილოვი ჩალხუშიანის ოჯახში შემხვედრია ხოლმე პირველ ხანებში ქ-ნ ჩალხუშიანს რომ ვსწამლობდი. მერე აღარ შემხვედრია. მაშინ წვერ-ულვაში გაპარსული ჰქონდა, ეხლა მითხრეს ის არისო. ვერ ვიცნობდი, რომ მოტვლეპილი თავი არ მემცნაურებოდეს. დიდი ხანია მას მერე რაც არ მინახავს. ჩალხუშიანისა და შმაგაილოვის დამოკიდებულებისა არა ვიცი რა. შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს: რუბენ ჩალხუშიანს სომხეთა რაზმების შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია.

**ბრალმდებ. ჩხატარაიშვილი** (ტერ-მინასიანცს). თქვენ გამომძიებელთან, დაკითხვის დროს, ნაჩვენები გაქვთ, რომ რუბენ ჩალხუშიანი დაშნაკცაკანი არისო?

**ექ. ტერ მინასიანცი**. რუბენ ჩალხუშიანი მართალია მოიდაშნაკცაკანებს, მაგრამ სერიოზულად რომ ვსთქვათ...

**ბრალმდებ. ჩხატარაიშვილი** (თავმჯდომარეს). გთხოვთ, შეიტანოთ ოქმში მოწმის ჩვენება.

**ბრალმდებ. კანდელაკი**. თქვენ ბრძანეთ, რომ მოსკოვში გაიცანით ჩალხუშიანი, უნივერსიტეტში, საუნივერსიტეტო ქალაქში სტუდენტობა წრეებს ჰმართავს ხოლმე, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბება, რომელ ჯგუფებს ეკუთვნოდა ჩალხუშიანი?

**ექ. ტერ-მინასიანცი**. მოსკოვში სტუდენტობა ჩემთან იკრიბებოდნენ ხოლმე, იქ ყველანი იყვნენ პარტიის მიუხედავად, მე სოც.-დემოკრატი ამხანაგებიც მყავდა, ჩემსას რომ დაიარებოდნენ.

**ბრალმდებელი ჩხატარეიშვილი**. [illegible]

[illegible] წრისა და წინააღმდეგი რევოლუციონურ პარტიებისა... მათი რწმენა მჟღავნდება ხოლმე კათოლიკოზის არჩევნების დროს, ეროვნულ საბჭოს არჩევნებშიაც... ჩალხუშიანთა გვარს ვიცნობ... მახსოვს ერთი გრ. ჩალხუშიანი. ის თანამშრომლობდა „მშაკ"-ში „პრიაზოვსკი კრაი-"-ში ის უცხო კადეტებს თანაუგრძნობს... ეს გვარი უფრო „კლერიკალური" მიმართულებისაა, რუბენ ჩალხუშიანს დაახლოვებით არ ვიცნობ, ის სერიოზულ კაცად არ მეჩვენება. საუბარი ჩვენ შორის ყოფილა ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთის ომის შესახებ... რუბენ ჩალხუშიანი ოფიციალურად დაშნაკცაკანთა პარტიაში არ ირიცხება. ის უფრო არარევოლუციონური ელემენტია, ის უფრო ლეგალური... ჩალხუშიანების გვარეულობა იმითაც არის ცნობილი, რომ რუსეთის ორიენტაციასთან არიან.

**ვექ პ. ქავთარაძე**. არ შეგიძლიანთ გვითხრათ, სცხოვრობდა თუ არა კუჩარიანცი დაშნაკცაკანთა პარტიულ ბიუროს ოთახში?

**ავეტისიანცი**. ვიცი, რომ კუჩარიანცი სომხეთა საწყობის დამცველ რაზმის წევრი იყო, მაგრამ სცხოვრობდა ის დაშნაკცაკანთა პარტიულ ბიუროს ოთახში თუ არა, არ ვიცი.

**თავმჯდომარე**. თქვენა სთქვით „საწყობის დამცველ რაზმის წევრიო", არ შეიძლება განმარტოთ რა საწყობისა, რა ინახებოდა იქ?

**ავეტისიანცი**. ეს სომხეთა რაზმების საწყობში იყო. იქ ინახებოდა საინჟენერო, სატეხნიკო მასალა, იარაღი და სხვა.

**თავმჯდომარე**. არ შეგიძლიანთ განგვიმარტოთ, თუ რა განსხვავებაა „კლერიკალურ" მიმართულებასა და დაშნაკცაკანთა პარტიისაგან? რა მიზნებს ისახავს დაშნაკცაკანთა პარტია?

**ავეტისიანცი**. დაშნაკცაკანთა პარტიის მოქმედება ყველამ იცის და მისი პროგრამაც ალბად ეცოდინებათ. მე მიკვირს, რომ ასეთ კითხვას მაძლევთ.

**თავმჯდომარე**. წარმოიდგინეთ ისე ვითომც სასამართლომ არაფერი იცის და ისე განგვიმარტეთ. თქვენ უფლება გაქვთ არ გვიპასუხოთ თუ არა გსურთ.

(შემდეგი იქნება).

# მოგონება

(გაგრძელება)

მე კი ხშირად იმავე დროს დარდით გული მისკდებოდა. ჩვენი ავლა დიდება სხვას მიჰქონდა. ერთის მხრით სომხის კაპიტალი, მეორედან რუსის პოლიტიკური მუხრუჭი სულს გვიწუხებდა, სასოწარკვეთილებას გვგვრიდა.

ამ მდგომარეობაში გასაკვირველი არ იყო ირ. წერეთლის სიტყვები: მეზიზღება აწმყო, მეზიზღება წარსულიო, მე მჯეროდა და მჯერა დღესაც, რომ ეს სიტყვები სამშობლოს მხურვალე სიყვარულით იყო წარმოთქმული და საპოლემიკო კი გახადეს. ამ გვარათ საზოგადოებრივობა, სახელმწიფოებრივი მისწრაფება სრულებით დაიკნინა. სასოწარკვეთილობა იქამდის მიდიოდა, რომ გვაკვირვებდა კიდეც ილიას, აკაკის და სხვათა მოღვაწეობა. გვიკვირდა და ხშირათ ვამბობდით რის იმედი აქვთ რომ წერას განაგრძობენ და კარგ მომავალზე ფიქრობენ. ნ. ჟორდანიას კამათი ილიასთან, სადაც ბ. ნოე გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ ზოგ წლებში ილიას სულ ცოტა რამ დაუწერიაო, მე პირადაც მაკვირვებდა, რადგან იმ ჯოჯოხეთურ დროს ვერ წარმომედგინა დადინჯებული საქმიანობა და მეტადრე მწერლობა. მაგრამ ბუ- [illegible]

ბაში თუ დაგუბებულა პოტენციალური ძალა, ის უსათუოდ გადმოსკდება ნაპირზე. და უკვე იჩინა თავი ამ ძალამ. ჩვენი მომავალი კარგად ისახება ამის გარანტიის მიმცემი ჩვენვე ვიქნებით, თუ ჩვენში ანარქია არ იქმნა, და თუ შევიგენით, რომ ჩვენ ქართველები ვართ და უსაქართველოთ წარმოუდგენელი ვართ, ამის იმედი დიდი უნდა გვქონდეს, რადგან ყველამ ვიცით დღეს, ვინ არის ჩვენი მტერ-მოყვარე. ყველამ ვიცით, თუ რა მწუხარება ჰნახა ჩვენმა ერმა წარსულში მხოლოდ იმის გამო, რომ იგი დანაწილდა დაითიშა და სასიკვდილოთ დაუძლურდა.

ე. ვაშაკიძე.

# შემოწირულება

ომის საჭიროებისათვის და ჯარის სადღესასწაულო საჩუქრებისათვის მიღებულია ამიერ-კავკასიის ბანკში.

შემოსწირეს:

ი. ლორთქიფანიძემ 1200 მ., რ. დათეშიძემ 1100 მ., დ. ქუთათელაძემ 600 მ., ი. თურქიამ 668 მ., ი. სტურუამ 676 მ., ი. შალიკაშვილმა 480 მ., გ. მუმლაძემ 104 მ., აკ. მხეიძემ 366 მ., კ. მხეიძემ [illegible], გ. [illegible]ძემ 356 მ., ვ. ბრეგვაძემ 332 მ., მ. ლორთქიფანიძემ 316 მ., ნ. პლესნინმა 376 მ., კ. ტრესკინმა 316 მ., მ. შაბანოვასმა 252 მ., ნ. ქუთათელაძის ასულმა 244 მ., მ. ჰელიძის ასულმა 228 მ., თ. აფაქიძის ასულმა 208 მ., ვ. გაგუას ასულმა 208 მ., ბ. დვაურმა 40 მ., პ. ბაკურაძემ 80 მ., ე. კოჭლამაზაშვილმა 40 მ., გ. პეტრიშჩევმა 40 მ., ა. კუჩმაზაშვილმა 60 მ., ნ. ჯაყელმა 500 მ., კ. ქავთარაძემ 50 მ., ნ. აგლიძემ 50 მ., ბერალაშვილმა, ქიქოძემ და ვიდაროვმა 1000 მ., ნ. ღვამიჩავამ 500 მ., დაოეშიძემ 250 მ., ი. ციციშვილმა 50 მ., ა. ბარათაშვილმა 100 მ., პ. წერეთელმა 200 მ., კ. მესხმა ოქროს ბეჭედი, ს. ბენდუკიძემ 1000 მ., ვ. ბოლქვაძემ 50 მ., ი. ბოკერიამ 300 მ., გ. ავალიანმა 1000 მ., გ. ქვლივიძემ 1000 მ., რ. ბოთერაშვილმა 100 მ., ნ. მდივანმა 100 მ. სულ 15.416 მ.

ამ სიაში აღნიშნული თანხა და ოქროს ბეჭედი მიღებულია ამიერ-კავკასიის ბანკის მიერ.

ბანკის რწმუნებული **ი. თურქია**.

განყოფილების გამგე **ვ. მხეიძე**.

## სამხედრო სამინისტროს სააღმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამზადისი ნაკლებად მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეთ სასყიდელი იმ ტანისამოსში, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვარგა სახმარებლად და შეეფერება არსებულ ფორმას.

**დაწესებულია შემდეგი ფასები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თითო შაზარაში | 75 მან. | — | შაური. |
| ხალათში | 53 „ | — | „ |
| შარვალში | 40 „ | — | „ |
| პერანგში | 15 „ | — | „ |
| პერანგის ამხანაგში | 15 „ | — | „ |
| ერთ წყვილ წინდაში | 4 „ | 10 | „ |
| ერთ წყვილ წაღაში | 120 „ | — | „ |
| ერთ წყვილ ბატინკაში | 105 „ | — | „ |

(3—83—2)

## ბ. მ. კოზ კის ფოტოგრაფიში

გაიხსნა **სტუდია** მხატვრულ სურათების შესასრულებლად

სურათები შესრულებული იქნება, ზეთის (აკვარელის) და სხვა და სხვა საღებავებით. მხატვრულ შესრულების მხრით ფოტოგრაფია სრულ პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღია 9 ს. 5 ს. (ერევნის მოედანი—სოლოლაკი).

(10—85—2)

**საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით**

## ქართული ლეგიონი

**მოიწვევს მოხალისეებს**

## მამულიშვილნო,

## დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის ეზოში, სადაც ყოველგვარ პირობებს შეიტყობენ.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი **ლეო კერესელიძე**.

**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

## გ. მერაბოვისა

(რენტგენელოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

**საწყლებს უფასოთ.**

ე ქ ი მ ი

## კ. ტარ. ლორთქიფანიძე

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

ე ქ ი მ ი

## ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

## ბებელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ე ქ ი მ ი

## ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—54

გ ა ი ხ ს ნ ა

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დოხნიძისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ე ქ ი მ ი

## ა. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

**მოსე ანთიმოზის ძე**

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება" [illegible] № 1.